პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 ოთხშაბათი 4 აგვისტო № 181 (16611) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

მკიან საგარეჯოელები



800 ჰექტარ ფართობზეა გადაჭიმული საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის თავთავიანების ყანები. აქედან 700 ჰექტარი ხორბალს უჭირავს, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი რესპუბლიკის წარჩინებულმა კომბაინერმა, ლენინის ორდენოსანმა, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულმა ვალერიან ალექსაშვილმა, რომელიც საშუალოდ ჰექტარზე 50 ტონა მარცვლეულს ლეწავს.

— ვცდილობთ ამ გახურებული ალოობის დროს ყველა პირობა შევქმნათ ნაყოფიერი შრომისათვის, — თქვა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გუგული ერბოწონაშვილმა, — კალო მექანიზებულია, გვაქვს წითელი კუთხე, სადაც მუდამ არის ეურნალ-გაზეთები, კომბაინერებს უზრუნველვყოფთ პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარებით. სურათებზე: პურის მოსავლის ალება; მოწინავე კომბაინერი ვალერიან ალექსაშვილი.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ყოველი დღე — დამკვრელური!

არცერთი ჩამორჩენილი!

ტყიბული (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტის (დირექტორი ვ. პატარიძე) კოლექტივმა შვიდ თვეში 8 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ზეგეგმითი საკოქსე ქვანახშირი ამოიღო და თავის სამუშაო კალენდარს ოთხი დღით გაუსწრო. აქ ახლა არ არის მუშა, რომ დღიურ ნორმას ვერ ასრულებდეს.

საექსპლოატაციო უბნებს შორის — გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას ირეკის უთმობს მეექვსე საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც კომუნისტი მ. გვენეტაძე უძღვება. წლის პირველ ნახევარში მეექვსეუბნელებმა გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ქვანახშირი ამოიღეს, თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება გეგმიურთან შედარებით 13,1 პროცენტით გაზარდეს, ხოლო ტონა ქვანახშირს თვითღირებულება 63 კაპიკით შეამცირეს. ზეგეგმითმა ეკონომიამ აქ 30 ათას მანეთს გადააჭარბა; ასეთი ეკონომიური მაჩვენებლებისათვის აქ ჯერ არავის მიუღწევია.

მუშაობაში მაღალი წარმატებები მოიპოვა მეორე საექსპლოატაციო უბანმაც, სადაც უფროსია ი. დოლაძე. მოწინავე კოლექტივის ანგარიშზეა გეგმის გადამეტებით ამოღებული ოთხი სარკინიგზო ეშელონი „მავი ოქრო". აღსანიშნავია, რომ წლეულს შახტში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოქმედი სანგრევების საშუალო სადღეღამისო დატვირთვა.

ვ. ციბერკაძე.

კომგაინერთა შეჯიბრება

2 აგვისტო

ფეიქართა ინიციატივით

სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის კოლექტივმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაშლილი შეჯიბრების ინიციატორია ძაფსაღები საამქროს მეორე ცვლა.

ჩვენ პირობა დავდეთ, რომ ყოველი დღის დავალება პირნათლად შევასრულოთ, გამოვუშვათ მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია, ცვლაში არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი და არც ერთი დისციპლინის დამრღვევი. ეს იქნება ჩვენი პასუხი რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობისადმი.

ჩვენი ცვლის ფეიქრები ჯერჯერობით პირობას ასრულებენ. ახლებურად მუშაობის ამ დღეებში ზუსტად ვიცავთ ტექნოლოგიას, მაღალი ხარისხის ნაწარმს ვაბარებთ.

ჩვენი პირობაა შარშანდელთან შედარებით წლეულს გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ ორჯერ მეტი მაღალხარისხოვანი ნაწარმი.

ქ. პატარაია,
სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის ოსტატი.

ღორღი მილს „გადააქვს"

მარნეული. ბუნკერიდან ვაგონეტი ქვიშა-ღორღით იტვირთება, შემდეგ იგი იქვე, საკმაოდ ფართო დიამეტრის მილში შედის, სადაც უჩინარდება და ერთ წამში ორ კილომეტრზე დაცილებულ რკინაბეტონის ქარხანაში იცლება. ეს არის შულავერის ღორღის საკარიერო მეურნეობაზე მოწყობილი პნევმატური ტრანსპორტირების სრულიად ახალი სისტემა.

შულავერის საკარიერო მეურნეობა ღორღის ერთ-ერთი მძლავრი მწარმოებელია. ამჟამი პროდუქცია იგზავნება თბილისის მშენებლობებზე, რაც ჯერჯერობით ჩვეულებრივი ტრანსპორტით ხდება.

დღის წესრიგში იდგა პნევმოტრანსპორტის განხორციელება და კიდევაც სათანადო მუშაობა დაიწყო. აქ მთავარი და ძირითადი მაინც მთელ ტაბლაზე მილების ჩალაგება და შიგა სატრანსპორტო მოწყობილობის დამთავრებაა. მშენებლობის პირველი რიგის დამთავრების შემდეგ ღორღის პნევმოწოდება განხორციელდება არაფლოსა და მარნეულის რკინა-ბეტონის კომბინატში, ხოლო შემდგომ ეტაპზე იგივე სამუშაოები განხორციელდება შულავერი — ლოლოს ტრასაზეც.

ამ ტექნიკური სიახლის ავტორები საბჭოთა სპეციალისტები არიან. („კომუნისტის" კორ.).

ქეთევან-სარჩისხვილი, ეფექტიანობის-ხუთნლედი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „ქვეყნის სატელეფონო კავშირის განვითარების დასაჩქარებელი ღონისძიებების შესახებ"

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების კავშირგაბმულობის სამინისტროებმა და მათმა ტერიტორიულმა სამმართველოებმა ადგილობრივი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის დავალებები, რომლებიც ითვალისწინებდნენ სატელეფონო სადგურების მოცულობის 1,5-ჯერ გაფართოებას. მაგრამ სატელეფონო კავშირის განვითარება კვლავ ჩამორჩება მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნებს. ზოგიერთ ქალაქში მასობრივი საბინაო მშენებლობა არ შეესაბამება სატელეფონო ქსელების გაყვანის ვადებსა და მოცულობას, რის გამოც ცალკეული საცხოვრებელი რაიონები ხანგრძლივი დროის მანძილზე მოკლებული არიან სატელეფონო კავშირს. ნელა ხორციელდება სარაიონო ცენტრებისა და მუშათა დაბების ტელეფონიზაცია.

სატელეფონო კავშირის საშუალებებით მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ შემუშავებული დამატებითი ღონისძიებანი ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და მუშათა დაბებში სატელეფონო კავშირის განვითარების დასაჩქარებლად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს დაავალა კავშირგაბმულობის საწარმოების პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა წარმართონ იმ დავალებათა შესასრულებლად, რომლებიც ითვალისწინებენ სატელეფონო ქსელების შემდგომ განვითარებას, უახლესი ტექნიკის დანერგვასა და კავშირგაბმულობის ყველა საშუალებებით მოსახლეობის მომსახურების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

მოგილოცავთ!

რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიული სატრანსპორტო სამმართველოს ამხანაგ ი. ტ. იაროშენკოსა და ამხანაგ ვ. ნ. ნოსაჩოვის მძღოლთა ბრიგადების კოლექტივებს

ძვირფასო ამხანაგებო! დიდი კმაყოფილებით წავიკითხე თქვენი წერილი, რომელშიც მარცვლის გადაზიდვაში მიღწეულ შედეგებს მაცნობებთ. უმაღლესი შრომის ნაყოფიერებისათვის, ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის გაჩაღებული პატრიოტული მოძრაობა, რომელიც ქვეყნის სოფლის მეურნეობის წარჩინებულმა მექანიზატორებმა დაიწყეს, ფართოდ ვრცელდება.

ყველამ იცის, რომ საჭიროა არა მარტო მოიყვანო მოსავალი, არამედ სწრაფად, უდანაკარგოდ მოიწიო იგი და მიიტანო მარცვლეული ელევატორებზე და დამამზადებელ პუნქტებში. სწორედ ამიტომ ამსახურებს მაღალ შეფასებას თქვენი შრომითი მიღწევები ახალი მოსავლის მარცვლეულის გადაზიდვაში.

გამომუშავების ნორმების ერთ ავტომობილზე 3,6-ჯერ და თვითეულ მძღოლზე — 1,8-ჯერ გადაჭარბება შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ თქვენ დანერგეთ პროგრესული ტექნოლოგია ბრიგადული იჯარის საფუძველზე, მთელი დღე-ღამის განმავლობაში ამუშავებთ ავტომობილებს საათობრივი გრაფიკებით და ფართოდ იყენებთ მისაბმელებს, თავდადებით შრომობენ და მაღალი პროფესიული ოსტატობით ირჯებიან თქვენი ბრიგადების მძღოლები, ზრუნავთ ავტომობილების ჩინებული ტექნიკური მომსახურებისათვის.

არ მეეჭვება, რომ თქვენ მოგბაძავთ და მაღალწარმოებლურად გამოიყენებს ტექნიკას ქვეყნის საავტომობილო ტრანსპორტის ყველა მუშაკი. თქვენი გამოცდილების ფართო გავრცელება მნიშვნელოვნად აამაღლებს მოსავლის გადაზიდვაზე მომუშავე ავტომობილების მწარმოებლობას, ხელს შეუწყობს იმ მაღალი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებულ — მოლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, რომლებსაც ახლა ყუბანელ მხვნელ-მთესველთა მაგალითისამებრ კისრულობენ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში.

გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, მუშაობაში მოპოვებულ მაღალ შედეგებს, გისურვებთ შრომითს წარმატებებს, პირად ბედნიერებას, ახალ მიღწევებს სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც გაჩაღებული გაქვთ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის — ჩვენი სამშობლოს ეკონომიკის შემდგომი განვითარების ხელშეწყობისათვის.

ლ. ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ნ. ჩაუშესკუს

ვ აგვისტოს ყირიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა რუმინეთის კომპარტიის გენერალურ მდივანს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ნ. ჩაუშესკუს, რომელიც დასასვენებლად ნრის ჩამოსული საბჭოთა კავშირში.

ორი პარტიის ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გააცნეს, თუ როგორ სრულდება სკკპ XXV ყრილობასა და რუმინეთის კომპარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებანი, ამსჯელეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის თანამშრომლობის განვითარების ბევრ სხვადასხვა საკითხზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორი ქვეყნის პარტიათა თანამშრომლობის გაღრმავებას, საბჭოთა ხალხისა და რუმინელი ხალხის ძმური ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ჩაუშესკუმ საუბრის დროს განიხილეს აგრეთვე საერთაშორისო ცხოვრებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მთელი რიგი აქტუალური პრობლემები. ორივე მხარემ დაადასტურა, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ვანაგრძონ აქტიური მეცადინეობა, რათა ხელი შეუწყონ ევროპის კონტინენტზე დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარებას ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტის საფუძველზე. გაიმართა აზრთა გაზიარება ევროპის კომუნისტთა ბერლინის კონფერენციაზე შემუშავებული დოკუმენტის დებულებათა განხორციელებისათვის ბრძოლის გზების შესახებ.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ჩაუშესკუმ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და რუმინეთის კომპარტიას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველნაირად შეუწყონ ხელი სოციალიზმის ქვეყნების შეკავშირებისა და ურთიერთმოქმედების, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შემდგომ განმტკიცებას მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ მხარეები სულ უფრო მეტად იზიარებენ ერთმანეთის შეხედულებებს განსახილველ საკითხებზე.

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ნ. ჩაუშესკუს შეხვედრამ გულოთად, მეგობრულ გითარებაში ჩაიარა. (საკ.).

ვ აგვისტო

„პრავდის" ფურცლებზე

დიადი იდეების ერთგულება

ინტერნაციონალიზმი ძველსა და რბილში გაუჯდა საბჭოთა ხალხს — ადამიანთა ახალ ისტორიულ ერთობას, რომლებიც ერთნაირი ინტერესებითა და მიზნებით არიან შეკავშირებული. ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო განასახიერებს კომუნიზმის მშენებელი თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ხალხების ინტერნაციონალურ ძმობას, სოციალისტური და კომუნისტური აღმშენებლობის პროცესში ჩვენში აღიზარდნენ მტკიცე ინტერნაციონალისტთა თაობები.

როგორც სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, — ნათქვამია მოწონავე წერილში, — **საბჭოთა ხალხი გულისხმიერად ეკიდება სხვა ხალხების ჭირსა და ლხინს, მზად არის დაეხმაროს მათ სამართლიანობისათვის, თავისუფლებისათვის, სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში, პარტია კვლავინდებურად ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მშრომელებს ჩამოუყალიბოს და განუვითაროს ეს საუკეთესო მორალურ-პოლიტიკური თვისებები, რომლებიც მკაფიოდ ვლინდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის მსოფლიო ასპარეზზე მისი აქტიური საქმიანობის სრული მხარდაჭერით.**

ინტერნაციონალური აღზრდა ითვალისწინებს ღრმად განვუმარტოთ მშრომელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ მიიღო.

ჩვენს ქვეყანაში წარმატებით წყდება ერთ-ერთი უოთულესი სოციალური პრობლემა — საცხოვრებელი ფართობით მოსახლეობის დაკმაყოფილება. განვლილ ოთხწლეულში ეს ამოცანა — ასეთია ორი მილიარდ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. ასეთი მასშტაბები ისტორიას არ ახსოვს.

სკკპ XXV ყრილობამ აღნიშნა ამის აუცილებლობა, რომ გავაუმჯობესოთ საცხოვრებელი ფონდის — უდიდესი საერთო-სახალხო სიმდიდრის ექსპლოატაცია და დაცვა. **უკეთ როგორ უნდა გადავწყვიტოთ ეს ამოცანა — ასეთია თემა „პრავდის" ხაქმიანი შეხვედრებისა. ალმა-ათაში რომ გაიმართა.** ამ მასალას („ხახლი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ") გაზეთის მესამე გვერდზე წაიკითხავთ რუბრიკით — „პრავდის" ხაქმიანი შეხვედრების მაგიდასთან".

გუშინ მოსკოვში მუშაობა დაიწყო VIII საერთაშორისო კარტოგრაფიულმა კონფერენციამ. ამის გამო გაზეთის მეექვსე გვერდზე გამოქვეყნებულია ი. კუტუზოვის წერილი — „კარტოგრაფია პროგრესს ემსახურება".

ПРАВДА

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას — დაუცხრომელი ყურადღება და ზრუნვა

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სახალხო მოხმარების საქონლის საუკეთესო ნიმუშების სრულიად საკავშირო მუდმივი პავილიონის საქართველოს ფილიალის შენობაში გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ბაზარზე მიწოდებისადმი კონტროლის კომისიის გამსვლელი სხდომა.

კომისიამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის შ. დ. �აძის თავმჯდომარეობით განიხილა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გაწლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის საუკეთესო ნიმუშების სრულიად საკავშირო მუდმივი პავილიონის საქართველოს ფილიალის ნიმუშების მიხედვით სახალხო მოხმარების ახალი საქონლის ათვისებისა და წარმოებაში დანერგვის საკითხები.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის, სსრ კავშირის 50 წლისთვის სახელობის საწარმოო გაერთიანების, ქარხანა „ელექტროიზოლიტის", სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელექტროხელსაწყოს", ცხინვალის ქარხანა „ელექტროგიბრიდმანქანის", ფოთის ჰიდრომექანიზაციის ქარხნის, ზესტაფონის კაბელის ქარხნის, დიმიტროვის სახელობის ქარხნის, რუსთავის ამწესაშენებელი ქარხნისა და საკავშირო დაქვემდებარების მთელი რიგი სხვა საწარმოების ხელმძღვანელი მუშაკები, რესპუბლიკის მთელი რიგ სამინისტროთა და საწარმოთა ხელმძღვანელები.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა მუშაობაში საქართველოს ფილიალის ნიმუშების მიხედვით პროდუქციის ათვისებისა და მასობრივი გამოშვებისათვის კვლავაც არის სერიოზული ნაკლოვანებანი. როგორც გასულ წელს, ისე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ბევრი საწარმო სისტემატიურად არ ასრულებდა ახალი საქონლის წარმოებაში დანერგვისა და გამოშვების დავალებებს, რომლებიც დაწესებულია ფილიალის საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილებებით. მაგალითად, 1975 წელს ათვისებისათვის გათვალისწინებული 50 ნაკეთობიდან, დამტკიცებულ ვადებში უზრუნველყვეს მხოლოდ 12 სახეობის ნაკეთობათა გამოშვება, ხოლო 27 სახეობის ნაკეთობა საერთოდ არ გამოუშვიათ. მთლიანად, მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის 1975-1976 წლებში მასობრივი წარმოებისათვის გათვალისწინებული 112 ახალ ნაკეთობიდან არ დაუწყიათ 62 ნაკეთობის წარმოება.

ანალოგიური მდგომარეობაა ახალი საქონლის ნიმუშების ათვისების მხრივ. 1975 წელს ათვისებისათვის გათვალისწინებული 81 ნიმუშიდან ათვისებულია მხოლოდ 29. აუთვისებლად დაბრუნებულია 52 (64,2 პროცენტი), ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში — 6.

ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს სახალხო მოხმარების საქონლის ახალი ნიმუშების ათვისება. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, მაგალითად, 1974 წლის თებერვლიდან ითვისებს ნივრის წნეხის წარმოებას. მაღნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატი 1974 წლის აგვისტოდან ითვისებს ბროლის 18 ნაწარმის წარმოებას, ხოლო თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანა 1974 წლის მარტიდან — ტერისტული ტაფების წარმოებას.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ საკავშირო დაქვემდებარების 50 საწარმოდან, რომლებიც უშვებენ სახალხო მოხმარების საქონელს, 1 ივლისის მონაცემებით, ფილიალთან თანამშრომლობს მხოლოდ 22.

ამ ბოლო წლებში ფილიალთან თანამშრომლობა შეწყვეტეს ან დღემდე არ დაუწყიათ თბილისის გაზაპარატის ქარხანას, სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტულ ქარხანას, ცხინვალის ქარხანა „ელექტროგიბრმანქანას", ქუთაისის საავტომობილო ქარხანას, ბათუმის მანქანათმშენებელ, ელექტრომექანიკურ, ელექტროხელსაწყოთსაშენებელ ქარხნებს, ფოთის ელექტროტექნიკური და ოვეზის მრეწველობის საწარმოებს, თბილისის ელლიალს, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს, რომ განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის. მაგრამ რესპუბლიკის ზოგიერთ სამრეწველო საწარმოს დღემდე არ გაუშლია საჭირო მუშაობა ამ მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ელექტროტექნიკური, გაზის, საავტომობილო მრეწველობის საწარმოებს, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას.

კომისიამ დაავალა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებსა და საწარმოებს, რომლებიც უშვებენ სახალხო მოხმარების საქონელს, საფუძვლიანად გააანალიზონ თავიანთი მუშაობა, გამოარკვიონ საქართველოს ფილიალის ნიმუშების მიხედვით სახალხო მოხმარების საქონლის ათვისებისა და წარმოების დავალებათა შეუსრულებლობის მიზეზები, აღმოფხვრან ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებები, მჭიდრო კონტაქტი დაამყარონ ფილიალთან და განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი საქონლის ასორტიმენტის გაფართოებისათვის, მაქსიმალურად გამოიყენონ საუკეთესო ნიმუშები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსთან, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა ხელმძღვანელებთან ერთად კიდევ ერთხელ განიხილოს ნიმუშები, რომლებსაც საქართველოს ფილიალის საექსპორტო საბჭომ რეკომენდაცია მისცა 1976-1977 წლებში ათვისებისათვის, და ამ საკითხზე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეუწყნარებელია შემდგომი ჩამორჩენა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებაში და მოსთხოვა სახალხო მოხმარების საქონლის საუკეთესო ნიმუშების სრულიად საკავშირო მუდმივი პავილიონის საქართველოს ფილიალს, რომ სისტემატურად ავსებდეს თავის ფონდს ნაკეთობათა ახალი ნიმუშებით, ამასთან ითვალისწინებდეს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში მათი წარმოების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. უმოკლეს ვადებში ქალაქ ფოთში განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების ქარხნების წარმომადგენლებთან ერთად უნდა განიხილონ ახალი საქონლის ნიმუშები, რომლებსაც ფილიალში შესაძლო მისცეს რეკომენდაცია რეალური ათვისებისა და მასობრივი წარმოებისათვის.

კომისიამ დაავალა ფილიალს გააანალიზოს, თუ რატომ არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ ბოლო წლებში მიღებული დადგენილებანი ლუდით, ნაყინით და ულაკოჰოლო სასმელებით რესპუბლიკის ქალაქებს, რაიონებს, სამრეწველო ცენტრებისა და საკურორტო ზონების უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხებზე, შეიმუშაოს ამ საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრის წინადადებანი და განსახილველად წარუდგინოს ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. (საქინფორმი)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1976 წლის 3 აგვისტოს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 68 წლისა გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის პროკურორი

აროონ ერმილეს-ძე ტაკიძე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

„დოსააფის“ ორგანიზაციებს — პარტიული ყურადღება

გ. ვ. კოლბინი,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი

ოთხგზის ორდენოსანი საქართველოს კომუნისტები, ყველა შრომელი უდიდესი აღფრთოვანებით ასრულებენ სკკპ XXV ყრილობის მიერ განსაზღვრულ ისტორიულ ამოცანებს, რაც მოასწავებს კომუნისტური შენებლობის ახალ, მნიშვნელოვან ეტაპში სოციალისტური სამშობლოს შესვლას.

ჩვენი რესპუბლიკისთვის საბრძოლო პროგრამაა აგრეთვე ყრილობის გადაწყვეტილებათა, თვალსაზრისით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ახლახან მიღებული დადგენილება, თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე. ამ დოკუმენტში, რომელშიც დიდად არის შეფასებული ბოლო წლებში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობა, დასახულია ახალი უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომელთა შესრულების რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები სამართლიანად თვლიან დიდი ღირსებისა და პასუხისმგებლობის საქმედ.

როცა განსაზღვრავდა კომუნისტური მშენებლობის მორიგ ამოცანებს, საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს, XXV ყრილობამ კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი ხალხის შემოქმედებითი მუშაობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მშვიდობის ვითარებაში, იმპერიალიზმის რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის ვითარებაში. ამიტომ ჩვენი პარტია, რომელიც ახორციელებს მშვიდობისა და სოციალური პროგრესის პოლიტიკას, მუდმივად ზრუნავს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომ ამაღლებაზე, საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების განმტკიცებაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრილობის ტრიბუნიდან განაცხადა. „...საბჭოთა ხალხს შეუძლია დარწუნებული იყოს, რომ მისი შემოქმედებითი შრომის ნაყოფი საიმედოდ არის დაცული. არავის არ უნდა აეკვიდეს ის, რომ ჩვენი პარტია ყველაფერს გააკეთებს, რათა საბჭოთა კავშირის საზღვრებზე შეიარაღებულ ძალეს შემდგომშიც ჰქონდეთ ყველა აუცილებელი საშუალება თავისი საპასუხისმგებლო ამოცანის შესასრულებლად — იყოს საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის, საყოველთაო მშვიდობის გუშაგი“.

ამ კეთილშობილური ამოცანის გადაწყვეტაში თვალსაჩინო როლი ეკუთვნის „დოსააფის“ ორგანიზაციებს — საბჭოთა პატრიოტების სკოლას, რომლის მოვალეობაა მთელი თავისი საქმიანობით განამტკიცოს არმიისა და ხალხის მონოლითური ერთიანობა, აღზარდოს მშრომელები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, დარაზმოს მშრომელთა ფართო მასები, რათა მათ აქტიურად შეუწყონ ხელი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, და სამშობლოს დასაცავად მოამზადოს ისინი.

როცა ასრულებდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 7 მაისის დადგენილებას და „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ სსრ კავშირის კანონს“, საქართველოს სსრ „დოსააფის“ ორგანიზაციებმა მეცხრე ხუთწლედის წლებში საგრძნობლად გააუმჯობესეს თავდაცვითი მასობრივი მუშაობა, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის. ახლა უფრო შინაარსიანად და ქმედითად ეწყობა ახალგაზრდობის თემატური საღამოები, რევოლუციის, დიდი სამამულო ომის, შრომის ვეტერანებთან შეხვედრები, საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში ლაშქრობები. სამხედრო-სპორტული თამაშები „ზარნიცა“ და „ორლიონოკი“.

„დოსააფის“ საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის თბილისის სექციის თაოსნობით, რაც მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, აი უკვე სამი წელიწადია ხდება ჩვენება ყოველთვიური სატელევიზიო სამხედრო-პატრიოტული ალმანახისა „მამაცობა“, რომელშიც ფართოდ შუქდება საქართველოს რესპუბლიკის წვლილი დიდი სამამულო ომის წლებში ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების საქმეში. ალმანახი რესპუბლიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

საქართველოს ხალხი სათუთად ინახავს გმირი მეომრების პატიოსანსებისა და განდიდების სახელოვან ტრადიციას. თითქმის ყველა ქალაქში, რაიონულ ცენტრში, დასახლებულ პუნქტში დადგმულია ობელისკები, ძეგლები, მემორიალური დიუები, არსებობს მხედრული დიდების მუზეუმები, ოთახები ან კუთხეები. გამარჯვების 30 წლისთავის აღნიშვნის დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით თბილისის გამარჯვების პარკში გაიხსნა შემორიალი — უცნობი ჯარისკაცის საფლავი. ომის ვეტერანთა ჯგუფმა საბჭოთა კავშირის გმირის, გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტ ვ. ჯანჯღავას მეთაურობით გმირი ქალაქი ქერჩის აღნიშვნის ქვის სამტხლოებიდან ჩამოიტანა უცნობი ჯარისკაცის ნეშტი. მთელ გზაზე ქერჩიდან თბილისამდე პროცესიას ხვდებოდნენ საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მშრომელები. ეს გადაიზარდა სამშობლოს თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის დაღვრილ მეომართა სახალხო ხსოვნის მკაფიო დემონსტრაციად. ამ კეთილშობილური საქმის დასკვნითი ეტაპი იყო თბილისელ მშრომელთა მრავალრიცხოვანი მიტინგი გამარჯვების დღეს.

უცნობი ჯარისკაცის საფლავთან საპატიო ყარაულში დგანან პიონერები და კომკავშირელები. ამ წმინდა ადგილთან მოსწავლეები წარმოთქვამენ პიონერულ ფიცს, ახალგაზრდა მებრძოლები იღებენ ფიცს, ისინი ჰფიცავენ, რომ პაპების, მამების მაგალითით თავდადებით იბრძმენ, ისწავლონ და დაიცვან სამშობლო ნათელი მომავლის სასახელოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის სასახელოდ.

პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა მიმდინარეობს იმისათვის, რომ განმტკიცდეს თავდაცვითი საზოგადოება და მისი ძირეული ქვედანაყოფები აქტიურ, ქმედითუნარიან ორგანიზაციებად იქცნენ. საქართველოს სსრ „დოსაააფი“ დღეს — ეს არის ეშმარიტად მასობრივი ორგანიზაცია, რასაც მოწმობს შემდეგი მონაცემები: 10.025 პირველადს კოლექტივში თვლება საზოგადოების 1 მილიონ 800 ათასი წევრი. რაც რესპუბლიკის მოზრდილი მოსახლეობის 80,1 პროცენტს შეადგენს. მარტო მეცხრე ხუთწლედში საზოგადოების რიგები 270 ათასზე მეტი წევრით შეივსო.

შარშან პარტიის რაიკომებმა და საქალაქო კომიტეტებმა დაწერილებით შეამოწმეს „დოსაააფის“ ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობა. განზოგადდა დადებითი გამოცდილება, მხილებული იქნა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებები ფაბრიკების, ქარხნების, სასწავლებლებისა და დაწესებულებების თავდაცვითი კოლექტივების ხელმძღვანელობაში. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები მშრომელთა სამხედრო პატრიოტული აღზრდის ქმედითობის გაძლიერებისათვის, თავდაცვითი-მასობრივი მუშაობის ცენტრებად „დოსაააფის“ პირველადი რგოლების გადაქცევისათვის.

ახლა პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები უფრო საგონებლიერად მუშაობენ თავდაცვითი საზოგადოების აქტივის აღსაზრდელად. ამაღლდა მომთხოვნელობა კომუნისტების — „დოსაააფის“ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიმართ. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობის არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

თავდაცვითი კოლექტივებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დადებითს მაგალითებს გვიჩვენებენ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნისა და ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციები, სადაც „დოსაააფის“ ორგანიზაციებზე ეკიდებიან ხელმძღვანელი კადრების შერჩევას. აქ რეგულარულად ისმენენ თავმჯდომარეთა ანგარიშებს პარტიული ბიუროს სხდომებსა და კრებებზე, რაც ხელს უწყობს დადებითი გამოცდილების განზოგადებას და ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ზომების დროზე მიღებას. ამ ქარხნებში ნაყოფიერად წარმოებს სამხედრო-პატრიოტული, სამხედრო-მასობრივი და სამხედრო-სპორტული მუშაობა.

რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები მუდამ ზრუნავენ ქვეყნის შეიარაღებული ძალებისთვის სპეციალისტების მომზადების ხარისხის ამაღლებაზე, განსაკუთრებ ახალგაზრდობასთან მუშაობის გაუმჯობესებაზე. „დოსაააფის“ რესპუბლიკურმა ორგანიზაციამ წელგამოქცეულთა საუკეთესო მომზადებისათვის გაწეულ საკავშირო შეჯიბრებაში 1975 წელს მესამე ადგილი დაიკავა და დაჯილდოდა სსრ კავშირის „დოსაააფის“ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ბოლო წლებში საგრძნობლად გაფართოვდა და განმტკიცდა საზოგადოების სასწავლო ორგანიზაციების მატერიალური ბაზა. მეცხრე ხუთწლედის პერიოდში აიგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა „დოსაააფის“ ობიექტები 4 მილიონამდე მანეთის საერთო თანხისა. სამხედრო-ტექნიკური სწავლების ახალი სახლები აიგო ქალაქებში თბილისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, ტყიბულში, რაიონულ ცენტრებში — გალში, ქობულეთში, დუშეთში, ვანში და მთელ რიგ სხვა ადგილებში. დასრულებს სტადიაშია საერთაშორისო კლასის სასროლეთი თბილისში, საგზაო-ტექნიკო-წრიული ტრასა საავტომობილო რბოლისათვის რუსთავში, საიროდრომო ნაგებობათა კომპლექსი. გასულ ხუთწლედში შეძენილია 2 მილიონ მანეთზე მეტი თანხის სხვადასხვა ტექნიკური და სასწავლო დამხმარე ხელსაწყოები.

მყარი სასწავლო-მატერიალური ბაზის არსებობა და სასწავლო ორგანიზაციებისა და სპორტულ-ტექნიკური კლუბების ქსელის გაფართოება საშუალებას აძლევს რესპუბლიკის „დოსაააფის“ ორგანიზაციებს წარმატებით მოამზადონ მასობრივი ტექნიკური პროფესიის კადრები სახალხო მეურნეობისათვისაც. მარტო 1975 წელს მომზადდა 31 ათასი სპეციალისტი სახალო მეურნეობისათვის. ადგილობრივი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით ამ საქმეს კარგად წარმართავენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის, ახალქალაქის, ახალციხისა და თელავის „დოსაააფის“ სკოლები.

ახალგაზრდობაში ტექნიკური ცოდნის ფართოდ გავრცელებამ და თანამედროვე სასწავლო-სპორტული ბაზის შევსებამ შექმნეს სპორტის ტექნიკურ სახეობათა შესასწავლად მეცადინეობაში ჩაბმულთა რიცხვის გაზრდის საშუალება. სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა მიხედვით სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის შედეგებით რესპუბლიკამ ჩვენს ქვეყანაში მეექვსე ადგილი დაიჭირა, ხოლო თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადებაში — პირველი ადგილი. საქართველოს ბევრი სპორტსმენი შეყვანილია სსრ კავშირის „დოსაააფის“ ნაკრები გუნდების შემადგენლობაში და ჩვენი ქვეყნის ღირსებას იცავენ საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

რესპუბლიკის „დოსაააფის“ ორგანიზაციების წარმატებები უდავოა. მისი საქმიანობის დონეზე შეიძლება ვიმსჯელოთ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგებით, რომელშიც საქართველოს ორგანიზაცია მრავალი წლის განმავლობაში სპორტზო ადგილებს იკავებს. 1975 წელს მას მიეკუთვნა მეორე ადგილი მოკავშირე რესპუბლიკების „დოსაააფის“ კოლექტივებს შორის.

როცა ჯეროვანს ვუზღავთ მიღწეულს, არ შეიძლება არ დავინახოთ ნაკლოვანებები. ისინი კი არსებითია. ზოგიერთი რაიონული ორგანიზაციის, ბევრი პირველადი თავდაცვითი კოლექტივის საქმიანობა ჯერჯერობით მთლიანად ვერ უპასუხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 7 მაისის დადგენილების მოთხოვნებს. ამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი ის არის, რომ ჯერ კიდევ პარტიის ყველა რაიკომი ღრმად როდი სწვდება თავდაცვითი-მასობრივი მუშაობის შინაარსს, არ იცვან დოსაააფის ყოველ ორგანიზაციაში საქმის მდგომარეობა. ჯეროვნად არ ზრუნავენ თავდაცვითი საზოგადოების ხელმძღვანელები კადრების შერჩევასა და აღზრდაზე. ასე, მაგალითად, პარტიის გარდაბნის რაიონულ კომიტეტს მრავალი წლის განმავლობაში, ერთხელაც არ მოუსმენია ანგარიში რაიონის თავდაცვითი ორგანიზაციის მუშაობაზე, რომელმაც სერიოზული ჩავარდნები დაუშვა. რესპუბლიკის „დოსაააფის“ ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა მოეხსნა რაიკომის თავმჯდომარე, მაგრამ დღესდღეობითაც რაიონის პარტიული ორგანიზაცია არ იჩენს ჯეროვან უურადღებას თავისი თავდაცვითი კოლექტივის მუშაობისადმი, დაინტერესებას მისი მატერიალურ-სასწავლო ბაზის განმტკიცებით, რომელიც დაბალ დონეზე დგას. თავდაცვითს-მასობრივ მუშაობას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პარტიის გორის საქალაქო და ყაზბეგის რაიონული კომიტეტები.

ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაკები ადგილზე გაეცნენ „დოსაააფის“ ბევრი მშენებლობის საქმის მდგომარეობას. გამოირკვა, რომ ჯერ ყველაფერი როდია რიგზე. ცალკეული სამშენებლო ორგანიზაციები უხეშად არღვევენ მუშაობის ვადებს. მაგალითად, 7 წელიწადია ვაშლიჯვარის სასროლეთის მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „საკუთარმშენის“ სამმართველო, სისტემატურად ირღვევა გრაფიკი, სამუშაოთა ხარისხი ძალზე დაბალია. ამ მშენებლობის მდგომარეობის ნაკლოვანებებს იკვლევს საკითხი გახდა სახალხო კონტროლის კომიტეტის მსჯელობის საგანი, რომელმაც გარკვევის ალიკვიდაციოდ ქმედითი ზომები დასახა. უკეთ ვერ არის საქმე საეროდრომო კომპლექსის მშენებლობაზეც, სადაც სამუშაოებს ახორციელებს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო. ჩვენი აზრით, თანამდებობის პირებმა, რომლებიც პასუხს აგებენ ამ მშენებლობებისათვის, დროა თავიანთთვის შესაბამისი და უაღრესად სერიოზული დასკვნები გააკეთონ.

ა ხორციელებენ რა ყოველდღიურ პარტიულ ხელმძღვანელობას თავდაცვითი საზოგადოების ორგანიზაციებისადმი, პარტიის საქალაქო კომიტეტები, რაიკომები და პირველადი ორგანიზაციები უნდა გამოდიოდნენ „დოსაააფის“ IV ყრილობაზე ლენინდ. ილიას-ძე ბრეჟნევის მითითებიდან იმის თაობაზე, რომ სხვა ნებაყოფლობითს საზოგადოებებს შორის „დოსაააფს“ ჩვენთან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან იგი მოწოდებულია განამტკიცოს ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერება, მისი დაცვა მტრის შესაძლო თავდასხმისაგან.

ახლა ძალზე მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოთ „დოსაააფის“ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების მაღალი დონე. ამ მნიშვნელოვანი კამპანიის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ სწვდებიან პარტიული კომიტეტები საქმის არსს, როგორ ზრუნავენ ყოველივე საუკეთესოს განზოგადებასა და გავრცელებაზე, როგორ ამხილებენ ნაკლოვანებებს კრებებისა და კონფერენციების მომზადებასა და მოწყობაში, დროზე წარმართავენ თუ არა თავდაცვითი საზოგადოების აქტივის ყურადღებას ხარვეზების აღმოფხვრაზე. აუცილებელია ადგილებს საქმიანად გავეცნოთ თავდაცვითი-მასობრივი მუშაობის მდგომარეობაში და ზომები მივიღოთ მისი გაუმჯობესებისათვის. „დოსაააფის“ საქართველოს რესპუბლიკურ ორგანიზაციას ყველა შესაძლებლობა აქვს, რომ სსრ კავშირის დოსაააფის VIII საკავშირო ყრილობას და საზოგადოების 50 წლისთავს შეხვდეს ახალი წარმატებებით სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

გაზეთი „სოვეტსკი პატრიოტი“, 1/VIII. 1976 წ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ

Ვ ᲙᲐᲕᲘᲡᲢᲝ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘᲐᲜ

ᲔᲮᲐᲠᲐ ᲣᲨᲔᲠᲔᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ

ᲡᲘᲠᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲘ. (საკდესი). სირიის კომუნისტურმა პარტიამ მხარი დაუჭირა სირია-პალესტინის ამახწინანდელ შეთანხმებას, სირია-პალესტინის კომუნიკეს დებულებებს და გამოცხადა, რომ მზად არის ყოველნაირად შეუწყოს ხელი შეთანხმებას.

სირია-პალესტინის კომუნიკემ, ნათქვამია კომპარტიის განცხადებაში, დაადასტურა, რომ რეგიონში იმპერიალისტური სიონისტური შეთქმულებაა, რომლის კულმინაციური მომენტები გახდა სინის შეთანხმება და ლიბანის ამბები. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ლიბანის ახლანდელი სიტუაცია სამშიაა და საჭიროა მისი ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, დადასტურებულია პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის უფლება იმოქმედოს არაბეთის ნებისმიერ, მათ შორის ლიბანის ტერიტორიაზე. სირიის კომუნისტური პარტია იმედს გამოთქვამს, რომ შეთანხმება ბოლოს მოუღებს ლიბანში სამოქალაქო ომს.

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲣᲠᲔᲑᲐ

ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ

ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე ბევრი ქვეყნის საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღებას იპყრობს.

ᲒᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ

სოფია. როგორც თათბირის მოწვევა, ისე ცვლილებანი საერთაშორისო ვითარებაში, მეჩოდოდა დაკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ საქმიანობასთან, მათს ყოველდღიურ საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივებთან, ლ. ი. ბრეჟნევის დიდ პირად წვლილთან, წერს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო **„რაბოტნიჩესკო დელო“.** ჰელსინკის თათბირმა დაადასტურა შეთანხმებული მრქმედების ცხოველმყოფლობა და რეალობა მშვიდობისათვის, ევროპის სახელმწიფოთა უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის მიუხედავად მათი სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილებისა და ideოლოგიისა.

მშვიდობისათვის შემდგომ წარმატებით ბრძოლას მძლავრი იმპულსი მისცა სკკპ XXV ყრილობამ.

ᲒᲓᲠ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. „პრავდის“ კორესპონდენტისათვის გაცემულ პასუხში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთი წლის წინათ ჰელსინკში მოწვეული შეხვედრა, უთუოდ, ხანგრძლივი იქნება და ეერავინ ვერ შეარყევს და ვერ მიჩქმალავს მათ, აღნიშნავს გაზეთი „ტრიბიუნე“.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

პრაღა. ლ. ი. ბრეჟნევმა, წერს გაზეთი „პრაცე“, ძალიან ზუსტად დაახასიათა ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტი, როგორც კოლექტიურად შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფოთა ურთიერთობის რეალისტური, პასუხისმგებლური გაძღოლის გრძელვადიანი პერსპექტივა დასახა, უწინარეს ყოვლისა ევროპას მიმართ და მნიშვნელოვანწილად მსოფლიო ხასიათის პრობლემების მოწესრიგების პოტენციურ შესაძლებლობათა თვალსაზრისით.

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ. განვლილმა წელმა დაადასტურა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ისტორიული მნიშვნელობა, წერს გაზეთი **„ტიედონანტაიაში“** „ხალხთა შორის მშვიდობის ინტერესებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი, „ფინეთის მშვიდობის მომხრეთა“ ორგანიზაციის გენერალური მდივანი მორიკა ვირე-ტუომინენი. საბჭოთა კავშირმა მთელი რიგი წინადადებანი წამოაყენა, რომლებიც მიზნად ისახავს თათბირის საბოლოო აქტის დებულებათა პრაქტიკულ განხორციელებას.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

პარიზი. საფრანგეთის საზოგადოებრიობა და პრესა დიდ ინტერესს იჩენენ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე ლ. ი. ბრეჟნევის პასუხებიადმი. ხაზგასმულია ლ. ი. ბრეჟნევის შეფასებათა ოპტიმიზმი ჰელსინკის თათბირის ეფექტურობასა და ევროპის პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების საქმეში.

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ

ლისაბონი. უნდა აღინიშნოს, განაცხადა პორტუგალიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, პორტუგალიის შშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ბრძოლის საბჭოს ხელმძღვანელობის წევრმა ს

ლს სერეიერამ, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მოწყობა შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების, მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანის უდიდესი მეცადინეობის მეოხებით. იგი გახდა შემობრუნებითი მომენტი საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში.

თათბირის გადაწყვეტილებანი შეესაბამებიან ყველა ქვეყნისა და ხალხის ძირეულ ინტერესებს. მისი გამოცდილება შეიძლება და კიდეც უნდა იქნეს გამოყენებული აზიაში კოლექტიური უშიშროებისა და თანამშრომლობის სისტემის შექმნისათვის, ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრისათვის.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲗ

ნიუ-იორკი. ლ. ი. ბრეჟნევმა, აღნიშნავს ამერიკის კომპარტიის ორგანო **„დელი უორლდი“,** საერთოდ ოპტიმისტურად დაახასიათა ის ცვლილებანი, რომლებიც ჰელსინკის ისტორიული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მოხდა როგორც ევროპაში, ისე მთელ მსოფლიოში. საბჭოთა ხელმძღვანელმა რწმენით განაცხადა, წერს შემდეგ გაზეთი, რომ უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მეოხებით ევროპა უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა, ვიდრე თათბირამდე იდგა. მან ისწავლა უფრო მტკიცედ და უკეთ გამოიბნოს მწვავე საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტა, იმუშაოს მეტი პრაქტიკული უკუგებით ძაბაბულობის შენელების, სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაღრმავებისა და ხალხთა შორის მშვიდობის ინტერესებისათვის. გაზეთს ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი მოიხნია მოწოდებად კომუნისტური და მუშათა პარტიებისადმი, ერთიანულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისადმი, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალებისადმი უფრო მეტი ენერგია და შეკავშირება გამოიჩინონ მშვიდობის, ხალხთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დიადი საქმის დაცვაში. (საკდესი).

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ



ᲬᲚᲔᲣᲚᲘ ᲑᲣᲚ�გᲐᲠᲔᲗᲘᲡ შავიზღვისპირა კურორტზე მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული ოთხი მილიონი ტურისტი დაისვენებს. დამსვენებელთათვის შექმნილია ყველა პირობა.

სურათზე: ალბენის საკურორტო კომპლექსი.

სოფია-პრაზის ხაბერნტის ფოტო.

ᲜᲘᲗᲘᲝᲠᲚᲝᲒᲘᲗ ფართოვდება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქ ბრალის ხაზღვრები. უკვე თითქმის მთლიანად აშენდა ახალი საცხოვრებელი რაიონები პეტრშინი, პანკრაცი, ჩერვენი, ლგუტკა და ა. შ.

სურათზე: ახალი საცხოვრებელი სახლები ლგუტკას რაიონში.

საკდესის ფოტო.

ᲙᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡ

ლისაბონი. (საკდესი). პორტუგალიის პრემიერ-მინისტრმა მარიუ სოარეშმა მიიღო პორტუგალიის პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების დელეგაციები, მათ შორის პორტუგალიის კომპარტიის ხელმძღვანელები და გააცნო მათ ძირითადი დებულებანი მთავრობის პროგრამისა, რომელსაც რესპუბლიკის კრებას წარუდგენენ. როგორც პრესა თუწყობა, პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ალვარო კუნიალმა პრემიერ-მინისტრთან საუბრის შემდეგ განაცხადა, რომ იმ ეშვიების მიუხედავად, რომლებიც კომპარტიას აქვს სოციალისტური პარტიის მიერ შექმნილი ერთპარტიული მთავრობის მიმართ, პორტუგალიელი კომუნისტები არ აპირებენ სისტემატურად ოპოზიციაში ედგნენ ამ მთავრობას და ყველაფერს იღონებენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებთან მუდმივი დიალოგის მეშვეობით ითანამშრომლონ მშრომელთა ინტერესების დაცვის საქმეში.

ᲡᲐᲥᲘᲗᲮᲘ ᲦᲘᲐᲓ ᲠᲩᲔᲒᲐ

ᲐᲠᲘᲡ თუ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲡᲖᲔ ᲑᲐᲫᲐᲢᲔᲠᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲚᲘ?

ნიუ-იორკი. (საკდესი). „ვაკინგ-1“ ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის მარსზე მყოფი დასაჯდომი ბლოკის ერთ-ერთ სიცოცხლის საძიებელ საინკუბაციო კამერაში მარსის გრუნტის სინჯიდან მოულოდნელად ინტენსიურად გამოიყო ნახშირორჟანგი. ამან საფუძველი მისცა ამერიკელ მეცნიერებს ძალიან ფრთხილად გამოეთქვათ ვარაუდი, რომ შესაძლოა მარსზე ბაქტერიული ფორმის სიცოცხლე იყოს.

ამ კამერაში სინჯი დასაწყებელ ეგრეთწოდებული „ქათმის ბულიონით“ — მასაზრდოებელი ხსნარით, რომელიც რადიაქტიური ნახშირბადის ნაშანდებულ ატომებს შეიცავს. ნაშანდებული ატომებს შემცველი ნახშირორჟანგის გამოყოფა შესაძლოა მიკროორგანიზმების ნივთიერებათა ცვლის შედეგი იყოს. მაგრამ ეს გაზი შეიძლებოდა გაჩენილიყო ისეთი ქიმიური რეაქციის შედეგადაც, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ბიოლოგიურ აქტიურობასთან. მაღე გაზის რაოდენობამ სწრაფად იკლო. როგორც განაცხადა დოქტორმა ბერნარდ ლევინმა, იმ ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, რომელიც ბიოლოგიურ კვლევას ეწევა, „გაზის გამოყოფა უფრო დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე ქიმიური რეაქციების დროს ხდება, მაგრამ ნაკლებ ხანს, ვიდრე მიკროორგანიზმების ბიოლოგიური მოქმედებისას. ასე რომ, ჩვენ სადღაც შუალედში ვართ“.

გადაწყვიტეს ამ საინკუბაციო კამერაში გრუნტის მომდევნო სინჯს სტერილიზაცია გაუკეთონ, რათა დახოცონ შესაძლო ბაქტერიები, შემდეგ კი დუმატონ ნაშანდებული ატომები და ნახშირორჟანგის გამოყოფა შეადარონ პირველი უსტერილიზაციო სინჯიდან ნახშირორჟანგის გამოყოფას.

სიცოცხლის საძიებელი დანადგარის მეორე საინკუბაციო კამერაში მასაზრდოებელი ხსნარის დამატებას შემდეგ მოსალოდნელზე 15-20-ჯერ მეტი ენერგიით გამოიყო. ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, გამოყოფის ინტენსიურობა მაღე შესუსტდა, ამ კამერაშიც გათვალისწინებულია ექსპერიმენტი სტერილიზებული გრუნტით. თუ მაშინ მნიშვნელოვანი რაოდენობით არ გამოიყო გაზი, ეს, როგორც ჩანს, იმის დამადასტურებელი იქნება, რომ პირველ უსტერილიზაციო სინჯში გაზს ცოცხალი ბაქტერიები გამოჰყოფდნენ, თვითონ გრუნტი კი მას არ შეიცავდა.

**სიცოცხლის ძიებელი ექსპერიმენტი ეჭვს ბიოლოგიურ ინტერპრეტაციებს, ანუ ბიოლოგიურ ინტერპრეტაციებს, რომ ამ ექსპერიმენტებმა ბიოლოგიური ინტერესი ბევრ ადამიანში გააღვიძა. ეს ინტერესი ეფუძნება ბიოლოგიურ ინტერპრეტაციებს, ანუ ბიოლოგიურ ინტერპრეტაციებს, ანუ ბიოლოგიურ ინტერპრეტაციებს, ანუ ბიოლოგიურ ინტერპრეტაციებს, ანუ ბიოლოგიურ ინტერპრეტაციებს, ანუ ბიოლოგი

ღრმად შევისწავლოთ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტი

30 ივლისს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის „ინსტიტუტის საჯარო დარბაზში გაიმართა თეორიული კონფერენცია. იგი მიეძღვნა პრობლემებს, რომლებიც წამოყენებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში: „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა, იდეოლოგიურმა მუშაკებმა, უმაღლესი სახსწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლებმა, პარტიულმა, საბჭოთა მუშაკებმა, პარტიის ვეტერანებმა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ვ. მ. სიხარულიძემ.** ჩვენი დღევანდელი კონფერენცია, თქვა მან, ეძღვნება საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის, მთელი ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში უდიდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებას „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“.

დადგენილება, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი ზოგადპარტიული დოკუმენტია, პოლიტიკისა და მეცნიერების ლენინური სინთეზის ნიმუშია, თეორიისა და პრაქტიკის მტკიცე შეერთებაა. ამ ისტორიული დადგენილების იდეურ-თეორიული შინაარსის ღრმა შესწავლა, მისი მეცნიერული ღირებულების ყოველმხრივი ანალიზი ჩვენი საზოგადოებრივი მეცნიერების ყველა დარგის, რესპუბლიკის იდეოლოგიური ინსტიტუტების, მთელი პარტიული აქტივის, თვითეული კომუნისტის უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი ამოცანაა.

საჭიროა, როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმზე აღინიშნა აბო. შეკავრიძემ, საგანგებო შესწავლის და მსჯელობის საგნად იქცეს ამ დადგენილების პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ასპექტები, მთელი სიღრმით გაიხსნას მისი რევოლუციურ-პუმანური, სოციალურ-ფილოსოფიური, სოციალურ-ეთიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური არსი. დღევანდელი კონფერენცია მხოლოდ დასაწყისია დიდი თეორიული და პრაქტიკული მუშაობისა, რომელიც ახლო მომავალში უნდა გაიმართოს ამ მიმართულებით.

ჩვენი საზოგადოებრივი მეცნიერების ვალია აქტიურად ჩაებას ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლაში, სათავეში ჩაუდგეს იმ საყოველთაო-სახალხო ენთუზიაზმს, რომელიც გამოიწვია პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიასძე ბრეჟნევის ჭეშმარიტად უდიდესი ზრუნვის ამ ახალმა, უაღრესად მკაფიო გამოვლინებამ.

ეს დადგენილება ცენტრალური კომიტეტის მესამე დადგენილება განსაკუთრებულ ზრუნვის ქართველ ხალხზე, მისი ეკონომიკისა და კულტურის აღორძინებისა და განვითარებაზე. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის დადგენილება საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელსაც ეძღვნება ჩვენი დღევანდელი თეორიული კონფერენცია, მოიცავენ ეკონომიური პრობლემებისა და პარტიული მშენებლობის საკითხების მთელ კომპლექსს. ეს ისტორიული დოკუმენტები განსასაზღვრავენ კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ახალ, უმაღლეს ეტაპს, აფასებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დაუცხრომელ ზრუნვას საქართველოსათვის, ქართველი ხალხისათვის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილება რესპუბლიკის შესახებ ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი პოლიტიკური განმტკიცების გარანტიაა განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში, როცა საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფო მტკიცედ აზორციელებს სოციალისტური სახალხო ხელისუფლების, სოციალისტური დემოკრატიისა და დისციპლინის განმტკიცების კურსს. ეკონომიური თვალსაზრისით ეს დოკუმენტი ყველაზე ხელშემწყობ პირობებს უქმნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის მუშაობის შემდგომ სრულყოფის, რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცებისა და აყვავების, მეცნიერულ საფუძველზე სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

რაც შეეხება ამ დადგენილების სოციალურ ასპექტებს, რესპუბლიკაში „კომუნისტური მშენებლობის სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტა ნიშნავს სოციალურ სიკეთეთა და ღირებულებათა შემდგომ გამრავლებას, კომუნიზმის მშენებელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების კიდევ უფრო ეფექტიან დაკმაყოფილებას, თვითეული პიროვნების სოციალური ორიენტაციის გაუმჯობესებას, შრომის, სწავლისა და დამსახურებული დასვენების კონსტიტუციური უფლებების უკეთ რეალიზაციას.

ეს ძირეული გარდატეხა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში მოხდა, ნამდვილად ისტორიულია ამ სიტყვის ყველაზე ღრმა მნიშვნელობით. ახლა წარსულის მძიმე კომშარად გვაწევს საქმისსენებისა და მექრთამეების თავაწყვეტილი თარეში, ბროტექციონიზმისა და „კარიერიზმის გაფურჩქვნა, პატიოსანი კომუნისტებისა და მშრომელების აბუჩად აგდება, ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი წევრის მორალურ-ეთიკური გახრწნა და გადაგვარება. ამ სენით დაავადებული ადამიანები ერთ-ერთ ადამიანურ ნაწილი, ვინც თავისი მდგომარეობით ვალდებული იყო წინ აღდგომოდა მათ, მაგრამ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში აღმოჩნდნენ ძალები, რომლებიც აქტიურად შეებრძოლნენ ამ მანკიერ მოვლენებს.

იყვნენ ისეთებიც, ვინც ამ ნეგატიური მოვლენების ფიმართ გარეშე მეთვალყურის როლს სჯერდებოდა, ვინც ვერ გამოიჩინა პრინციპულობა და ვაჟკაცობა, ვინც ამოფფარა პირადი პატიოსნების ჯავშანს. მოდით, სიმართლე ვუთხრათ საკუთარ თავს — ასეთები ბევრნი იყვნენ.

ახლა კი დროა უმაღლესი აქტივობით, თავდადებული ბრძოლით ვუპასუხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებას, ყველაფერი ვიღონოთ, რათა პირნათლად შეასრულოთ პარტიის წინასწარდასახულობანი.

სიტყვა მოხსენებისათვის — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების ამოცანები“ ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თანამიმდევრულ, — ვაჟაკაცურ ბრძოლას პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენის, დამკვიდრებისა დ შემდგომი განვითარებისათვის.

დადგენილება მიღებულია უშუალოდ პარტიის XXV ყრილობის შემდეგ და იგი აკონკრეტებს, აზუსტებს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის მიერ იმ ამოცანების განხორციელების გზებსა და საბოლოო მიზნებს, რომლიც ყრილობამ დასახა.

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო არაერთი დადგენილება საქართველოს კომპარტიისა და საერთოდ საქართველოს შესახებ. ისინი გამოხატავდნენ ლენინურ ზრუნვას ქართველ ხალხზე, მისი ეკონომიკისა და კულტურის აღორძინებისა და განვითარებაზე. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის დადგენილება საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელსაც ეძღვნება ჩვენი დღევანდელი თეორიული კონფერენცია, მოიცავენ ეკონომიური პრობლემებისა და პარტიული მშენებლობის საკითხების მთელ კომპლექსს. ეს ისტორიული დოკუმენტები განსასაზღვრავენ კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ახალ, უმაღლეს ეტაპს, ადასტურებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დაუცხრომელ ზრუნვას საქართველოსათვის, ქართველი ხალხისათვის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის.

ეს ამოცანები, რომლებიც იდეოლოგიური დარგის მუშაკებსა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლებს ეკისრებათ თავიანთ მომავალ მუშაობაში, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის დადგენილებაში და პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმაში, რომელიც ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების განსახორციელებლად.

დამეთანხმებით ალბათ, თქვა ბოლოს ამხ. სიხარულიძემ, რომ შრომასა და ბრძოლას მაშინ აქვს აზრი და ხალისი, როცა იცი, რომ შრომობ ნათელი მიზნისათვის, იბრძვი კეთილშობილური იდეალებისათვის. სწორედ ასეთია დღეს ჩვენი შრომაცა და ბრძოლაც. ამ გზაზე ბევრი სიძნელე, სირთულე და წინააღმდეგობა, მაგრამ არ არის ექვი და უიმედობა.

ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია ყველაფერი ვიღონოთ, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ არ დაცხრეს გამწმენდი ქარიშხალი ჩვენს რესპუბლიკაში, რომ ლოგიკურ ბოლომდე მივიყვანოთ ბრძოლა ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას.

იქედან უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივი დარგების მეცნიერთა მაღალხელოვნური და მძლავრი კოლექტივი ამ ბრძოლაში ღირსეულ ადგილს დაიკავებდეს, არ დაზოგავს ცოდნასა და ენერგიას პარტიის XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — ზოგადპარტიული მნიშვნელობის დოკუმენტი“ — გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა **დ. გ. სტურუამ.**

ყოველ ჭეშმარიტ კომუნისტს, მოქალაქესა და პატრიოტს უსაზღვროდ ახარებს ის ფაქტი, თქვა მომხსენებელმა, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მთელის ხმით, მეცნიერული სიღრმით, ლენინური პრინციპულობით დასტური მისცა საქართველოს კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის თანამიმდევრულ, — ვაჟაკაცურ ბრძოლას პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენის, დამკვიდრებისა დ შემდგომი განვითარებისათვის.

დადგენილება მიღებულია უშუალოდ პარტიის XXV ყრილობის შემდეგ და იგი აკონკრეტებს, აზუსტებს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის მიერ იმ ამოცანების განხორციელების გზებსა და საბოლოო მიზნებს, რომლიც ყრილობამ დასახა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო არაერთი დადგენილება საქართველოს კომპარტიისა და საერთოდ საქართველოს შესახებ. ისინი გამოხატავდნენ ლენინურ ზრუნვას ქართველ ხალხზე, მისი ეკონომიკისა და კულტურის აღორძინებისა და განვითარებაზე. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის დადგენილება საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელსაც ეძღვნება ჩვენი დღევანდელი თეორიული კონფერენცია, მოიცავენ ეკონომიური პრობლემებისა და პარტიული მშენებლობის საკითხების მთელ კომპლექსს. ეს ისტორიული დოკუმენტები განსასაზღვრავენ კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ახალ, უმაღლეს ეტაპს, ადასტურებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დაუცხრომელ ზრუნვას საქართველოსათვის, ქართველი ხალხისათვის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის.

ეს ამოცანები, რომლებიც იდეოლოგიური დარგის მუშაკებსა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლებს ეკისრებათ თავიანთ მომავალ მუშაობაში, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის დადგენილებაში და პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმაში, რომელიც ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მისმა თანამიმდევრულმა ბრძოლამ იმ ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრისათვის, რომლებიც გამოიწვიეს სერიოზულმა შეცდომებმა და ხარვეზებმა, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში ახლო წარსულში იყო, თქვა მომხსენებელმა, კანონზომიერად გააძლიერეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მუშაკების ყურადღება ფუნდამენტური თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გადაჭრისადმი, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბების მსოფლმხედველური საფუძვლების შემუშავებისადმი.

ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქართულ მეცნიერებას დიდი პოტენციალი აქვს. ისინი ისწრაფვიან მთელი თავიანთი ცოდნა, ნიჭი და უნარი მოახმარონ ჩვენს საზოგადოებას, სახელმწიფოს ინტერესებს, კვლევის ეფექტიანობის ამაღლებას, მეცნიერებისა და ცხოვრების კავშირის შემდგომ განმტკიცებას.

საზოგადოებათმცოდნე მეცნიერებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებთ. ისინი მოწოდებული არიან მეცნიერულად დასაბუთონ, სწორად შეაფასონ ბევრი სოციალური მოვლენა და ძერა, პოპულარიზაცია გაუწიონ ამ გარდაქმნებს, რომლებიც ბოლო დროს მოხდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მშრომელების და განსაკუთრებით ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში.

მომხსენებელმა გააშუქა ამოცანები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებამ დაგვისახა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, ილაპარაკა, თუ რი გზით განვითარდება რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ამ დადგენილების შესაბამისად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ძირითადი ეკონომიური ასპექტების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, რესპუბლიკის აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ა. ლ. გუნიამ.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაში, თქვა მან, მეცნიერული სიღრმით არის განზოგადებული საქართველოს პარტიული ორგანიზაციის უკანასკნელი ოთხი წლის საქმიანობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიური პრობლემებს. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა და მშრომელთა კოლექტივებმა, პარტიისა და მთავრობის მხარდაჭერითა და დახმარებით, შინაგანი რეზერვების უფრო სრულად გამოვლინების შედეგად ძირითადად დაძლიეს სერიოზული ჩამორჩენა, რომელიც 1971-1972 წლებში იყო მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში.

ამასთანავე დადგენილება რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების დონე — ერთ სულ მოსახლეზე საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოება ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს. ამიტომ რესპუბლიკის წინაშე დასმულია ამოცანა უთუოდ შესრულდეს ყველა ის რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებელი, რომლებიც დასახულია სსრ კავშირის საბალანსო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში. ეკონომიკის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, როგორც აღნიშნულია დადგენილებაში, უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ რესპუბლიკის დიდი მეცნიერული პოტენციალი.

ჩვენ მოვალენი ვართ გავაუმჯობესოთ მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა ფუნდამენტურ-კომპლექსური გამოკვლევების შესრულებით მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური თეორიის დარგში, ყველა ღონისძიება ვიხმაროთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების უზრუნველსაყოფად, შეწონასწორებულად და პროპორციულად განვავითაროთ სახალხო მეურნეობის ყველა რგოლი.

ბოლოს გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **გ. ა. ჯანგველაძე,** რომლის მოხსენება მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის საქმიანობას პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის მუშაობის გაძლიერების საკითხებზე.

ასეთი მუშაობა თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია, რადგან კომუნისტური მსოფლმხედველობა და მორალი მკვიდრდება თანდათან სოციალისტური ცხოვრების წესისა და პარტიის აღმზრდელობითი მუშაობის ზემოქმედებით, წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ მუდმივ ბრძოლაში.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ნაციონალისტური ცრურწმენები ჯერ კიდევ ცოცხლობენ პოლიტიკური თვალსაზრისით მოუმწიფეველი ადამიანების შეგნებასა და ფსიქოლოგიაში, ისინი ვლინდებიან ეროვნულ თავისებურებათა გაზვიადებული და დამახინჯებული გაგებით, კუთხურობით, ხალხთა წარსულის შეფასებისას კლასობრივი პოზიციებიდან გადახვევით.

ამასთან არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ ის ვითარებაც, რომ იმპერიალიზმის იდეოლოგები ცდილობენ შესასუტონ ხალხთა ერთიანობა, ძირითად ყურადღებას უთმობენ ნაციონალიზმის გამოიცოცხლებას, ნაციონალისტური ცრურწმენის გაღვივებას.

ორატორმა ვრცლად ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ახლა ახორციელებენ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რესპუბლიკის ყველა ის დაწესებულება, რომელიც მოწოდებულია ემსახუროს ამ უდიდესი მნიშვნელობის საქმეს. მან აღნიშნა, რომ დღითიდღე ძლიერდება მუშაობა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის. ამისთვის რესპუბლიკაში ფართოდ იყენებენ ყველა არსებულ საშუალებას და განსაკუთრებით ფაქიზად ეკიდებიან ამ საქმეს. რათა ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით აღიზარდოს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა, ყოველი ქალიშვილი და ბიჭუკა.

თუ ჩვენ, თქვა დასასრულ ორატორმა, ამ დიდ მისიას შევასრულებთ, აღვზრდით სამშობლოს ინტერნაციონალისტებს, პატრიოტებს, ხალხისა და სამშობლოს ერთგულ მოქალაქეებს, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ შევასრულებთ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების ერთ-ერთ უმთავრეს დებულებას.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **გ. ვ. ბედნიერიშვილი** და საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი **ნ. ვ. გურგენიძე.**

(საქინფორმი).

ზღვისპირეთიდან გოდერძის უღელტეხილამდე

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ბათუმური მანქანები

ბათუმი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მძლავრი სამრეწველო ქალაქია. აქაურმა „ვოლგის“ ტიპის კატარღებმა შორს გაითქვეს სახელი, ხოლო მანქანათმშენებელი ქარხანა ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ჩაის ფაბრიკების სრულ აღჭურვილობას უშვებს.

ელექტრომექანიკური ქარხანა მეათე ხუთწლედის პირმშოა. მისი პროდუქცია — ელექტროკარები ოცზე მეტ ქვეყანაში იგზავნება საექსპორტოდ. ელექტრომექანიკოსთა სამ პროდუქციას უკვე მინიჭელი აქვს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. წლის ბოლომდე ქარხნის კოლექტივი კიდევ ერთი ახალი პროდუქციის გამოშვებას აითვისებს.

იზრდება ტანკერების ოჯახი

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, რომლის საბაზო ქალაქი ბათუმია, არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. თუმცა იგი ჩვენი ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა სანაოსნოა, უკვე კარგა ხანია მოწინავეთა რიგებში დგას და მას მრავალჯერ მიენიჭა საკავშირო დროშები. სანაოსნო ამჟამად 42 ხომალდს ითვლის. წლეულს მიიღეს კიდევ ორი ხომალდი, ხოლო წლის ბოლომდე ტანკერების ოჯახი სამი ახალი გემით შეივსება. სანაოსნოს საერთო წყალწყვა ასეული ათასობით ტონით განსაზღვრება. მისი გემები მსოფლიოს ყველა ზღვასა და ოკეანეს სერავს. ახლახან სანაოსნოს შემატება ახალი მადანმზიდი „სოვეტსკი ხუდოჟნიკი“, რომელიც ბულგარეთში დიმიტროვის სახელობის გემთსაშენ ქარხანაში აკავეს. მადანმზიდი უკვე გავიდა პირველ საზღვარგარეთულ რეისში.

აგვისტოს ანგარიშში

ბათუმის პორის მიმღები კომბინატი ერთ-ერთი დიდი საწარმოა (დირექტორი დ. ლეკვეიშვილი). იგი პირუტყვის კომბინირებული საკვებით ამარაგებს აჭარის, აფხაზეთის, დასავლეთ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის რაიონების მეცხოველეობის ფერმებს, ხოლო ზამთრის პერიოდში — ყიზღარის საძოვრებზე მყოფ ფარებს.

საწარმოს კოლექტივმა ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვა — ექვს თვეში გადაჭარბებით შეასრულა 7 თვის გეგმა და გეგმის გადაჭარბებით 2500 ტონა კომბინირებული საკვები აწარმოა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მეათე ხუთწლედის პირველი წლისათვის საწარმომ იკისრა გეგმის გადამეტებით 2000 ტონა კომბინირებული საკვები ეწარმოებინა.

ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანაში ხარისხის სახელმწიფო ინსპექციამ ორ ტრანსფორმატორს უშვებენ. მათ № 2 კომფორტული შრომის სამქროს ზეინკალთა ბრიგადა აწყობს, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ღუპუტატი ლიანა შვანგირაძე (ს ტ ა ნ ი ს ი — ზემოთ) ხელმძღვანელობს.

სურათზე: — ქვემოთ — თბომავალი „შოთა რუსთაველი“ ბათუმის ნავსადგურში.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეათე ხუთწლედის დასასრულამდე

ბათუმი ერთ-ერთი ძველი ქალაქია. ეს ბევრ ადგილს ეცოდინებოდა. ბევრ ადგილს ეცოდინებოდა, ბევრ ადგილს ეცოდინებოდა, ბევრ ადგილს ეცოდინებოდა,

საქართველოს ამა-ბარში

შეფის კეთილი საქმე

ქუთაისი. (საქინფორმის კორ.). წლეულს 24 ოქტომბერს დაბადების 90-ე წლისთავი შეუსრულდება მგზნებარე რევოლუციონერს, კომუნისტური პარტიის ერთგულ შვილს, გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს სერგო ორჯონიკიძეს. ერთი თვით ადრე, სექტემბერში, 25 წელი სრულდება, რაც სოფელ ღორეშაში გაიხსნა სერგო ორჯონიკიძის ძეგლი და სახლ-მუზეუმი.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივს ღორეშელებისათვის ბევრჯერ გაუწევია საშეფო დახმარება. ავტოქარხნის ხელმძღვანელებმა დასახეს ამ სოფლის ცხოვრებაში საშეფო მონაწილეობის შემდგომი გაფართოების ღონისძიებები.

ახლა ერთ-ერთი ბრიგადა ამთავრებს ღორეშის სკოლის შენობის კაპიტალურ რემონტს. კაპიტალურად შეკეთდა საკლასო ოთახები, დერეფნები. შენობა ხელახლა შეიღებება. კარგად შრომობს ბრიგადა, რომელსაც მეთაურობს ედგარ ბრეგაძე. ამ ბრიგადის წევრებმა ჯალიბულება იკისრეს სკოლის რემონტი აგვისტოს პირველი რიცხვებისათვის დაამთავრონ.

ქუთაისელები სოფელში დადგამენ შინმოუსვლელ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილ სტენდს, შემდეგ მშენებლები შეუდგებიან სასოფლო კლუბის რეკონსტრუქციას.

მოსავლის ზეიმი ბოდბეში

სიღნაღი. (საკ. კორ.). წლეულს სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა რაიონში პირველებმა პურეულის 1.461 ჰექტარი მოსავალი დროულად და უდანაკარგოდ აიღეს და ჰექტარზე საშუალოდ 34 ცენტნერი მარცვალი გალეწეს. სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.300 ტონა მარცვალი ნავლად ვალდებულებით ნაკისრი 639 ტონისა.

სწორედ მოსავლის დროულად აღება-დამბინავებასთან დაკავშირებით სოფელში გაიმართა ზეიმი. რომელსაც ესწრებოდნენ რაიონის კოლმეურნეობების წარმომადგენლებიც.

პურეულის აღებასა და დამბინავებაში განსაკუთრებული ქება ხვდათ წილად კომბაინერებს ა. ბულაშვილს, ი. ლოლაშვილს, გ. ტარყაშვილს, გ. ბეგაშვილს, გ. ხუციშვილს, შემინდერე ქალებს ნადია, ლიდა, ანრასია ლეგაიშვილებს და სხვ.

ბქვე მოსდა ქორწილი. დაქორწინდნენ მექანიზატორები — ტრაქტორისტი ზაირა ბოლოდაშვილი და მექანიზატორი ეეზარ ტარუაშვილი.

ბოდბის კოლმეურნეობის მშრომელებს ეს ზეიმი დიდხანს ეხსომებათ.

ვლ. მჟელიშვილი.

ქორწინების სახლი

ბაქიბული. (საკ. კორ). მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ კიდევ ერთი კარგი საქმე გააკეთა — ქალაქის ცენტრში გახსნა ქეთილმოწყობილი ქორწინების სახლი.

ახლადგახსნილ ქორწინების სახლში პირველმა იქორწინეს კომკავშირელებმა ეთერ ლებანიძემ და რევაზ ჯალიაშვილმა.

3. ციბეკიძე.

ᲦᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲔᲡᲢᲝᲚᲝᲒᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ, ᲔᲡᲢᲝᲚᲝᲒᲘ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ



ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ქართველი პოეტის კარლო კალაძის მთელი შემოქმედება თანამედროვეობით სუნთქავს და საზრდოობს. მართალია მის ნაწარმოებებში ჩვენი ხალხის ისტორიის არაერთი ფურცელია მაღალმხატვრულად გაცოცხლებული, მაგრამ პოეტის უპირველესი შთაგონება საბჭოთა საქართველოა, მისი ხალხია, მისი აწმყო და მომავალია. ამაში ადვილად დარწმუნდება კარლო კალაძის ახალი წიგნის — „მზოლო ახალი, მხოლოდ რჩეულის“ მკითხველიც.

ენგური რუხის ციხესთან ვნახე,
აქ მოჩანს მისი ტალღების ლეგვა,—
და ერთი სიტყვა მეც გადავძახე,—
ენგურის ერთი ერთგული მეც ვარ!

წერს პოეტი და სწორედ ეს ერთგულებაა მისი ამ ახალი კრებულის ღერძი.

„უმთავრესი ნაწილი ამ წიგნისა — გვიმხელს პოეტი წინათქმაში, დღეს არის დაწერილი... მწამს, რომ სწორედ ეს წიგნი ხატავს ახლა მთელს ჩემ სიცოცხლეს — მრწამსით, სიხარულით და სიმწუხარით, სწორედ დღეს 1976 წლის დამდეგს...“

წიგნი „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა. კრებულში დაბეჭდილია რამდენიმე ციკლის ლექსები— „ჩემი დღისა და ღამის წიგნი“, „ყოველი დღე და ყოველი წუთი“, „ნოველები“, „ფიქრი გზადაგზა“, „ათი საათი პარიზის დროით“, „ფიქრები“. რედაქტორია თ. დაუშვილი, მხატვარი — ნ. ბურჯანაძე. 302 გვ.

ქართული პოეტური სიტყვის ყოველი მოყვარული და დამფასებელი ინტერესითა და გულისყურით წაიკითხავს პოეტის ნაწარმოებთა ახალ კრებულს.

„ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲔᲚᲘ-80“ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

მოსწავლეთა XIV საკავშირო სპარტაკიადის შედეგების გამო

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ დამთავრდა მოსწავლეთა XIV საკავშირო სპარტაკიადა. არსებითად, ეს იყო 1980 წლის საბჭოთა ოლიმპიური რეზერვის დშთვალიერება. მოკავშირე რესპუბლიკების, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის 17 ნაკრებ გუნდს ბორის არცთუ ცუდი აღაილი დაიკავა ჩვენა რესპუბლიკის 347 წარგზავნილმა. ისინი თანატოლებს ეჯიბრებოდნენ სპორტის ოცავე სახეობაში, რომლებიც სპარტაკიადის პროგრამაში შედის.

აი რა უამბო ამის შესახებ საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსმა, სპორტის ოსტატმა რ. აიწურაძემ.

—საერთოდ, კმაყოფილი ვართ ჩვენი მოსწავლეების გამოსვლით, წინა სპარტაკიადასთან შედარებით პროგრესი იგრძნობა. რესპუბლიკის პატრიოტული, საბჭოთა ორგანოები მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდების მომზადებაში. მონაწილეებთან პირველად მუშაობდნენ ფსიქოლოგები. შეიძლება ითქვას, რომ არსებული შესაძლებლობანი მაქსიმალურად იქნა გამოყენებული. ამის შედეგად ჩვენმა მოსწავლეებმა მოიპოვეს 29 ჯილდო, მათ შორის სამი ოქროს, 13 ვერცხლისა და 13 ბრინჯაოსი. არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები საუკეთესოთა ექვსეულშია. თუ რამდენად მწკავე იყო მეტოქეობა. ეს თუნდაც იქედან ჩანს, რომ მოსკოვის კარგად მომზადებული გუნდი, მხოლოდ მეოთხე ადგილზე გამოვიდა. და ამ სპარტაკიადის კიდევ ერთი თავისებურება: გუნდები, რომლებმაც სპორტსმენები გაგზავნეს ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში, გამარჯვების ქულებს იღებდნენ დაუსწრებლად, ოლიმპიელებს უკვე წინღაწინ მისცეს სპორტზო ადგილები.

— როგორი იყო რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლობა ნაკრებ გუნდში?

— უმრავლესობას შეადგენდნენ თბილისელი მოსწავლეები — 221 მონაწილე. აფხაზეთმა გაგზავნა 21 სპორტსმენი, აჭარამ — 15, ქუთაისმა — 23, რუსთავმა — 16 და ა. შ. სულ საქართველოს ნაკრებში წარმოდგენილი იყო რესპუბლიკის 25 ქალაქი და რაიონი. მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვათ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქალაქ ქუთაისის წარმომადგენლობა შეიძლებოდა უფრო ფართო ყოფილიყო. სასკოლო სპორტი აქ ჯერჯერობით მოიკოჭლებს. მართალია, ბათუმელი მოსწავლეებისაგან, რონლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ საუცხოო სპორტული კომპლექსი მიიღეს, ერთიორი წლის შემდეგ მაღალ შედეგებს მოველით.

— უშრი დაჯრილებით გვიანგამო ჩვენი ოქროს მედალისტების შესახებ...

— ეს არის მძიმე წონის ძიუდოისტი, კახელი ნოდარ ნუგზარიშვილი. ფინალურ შეხვედრაში მან დაამარცხა თანამემამეული, გორელი თეიმურაზ დონღუზაშვილი, რომელსაც ვერცხლის ჯილდო ერგო. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული სპპატენი კვარცხლბეკზე აკიდა თავისი დაბადების დღეს — მას 18 წელი შეუსრულდა. ოქროს მედლის გარდა, მან მიიღო კიდევ გუნდის სამახსოვრო სუვენირები. სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა თბილისელი მოფარიკავე მეათეკლასელი გიორგი ჯიღაური. მესამე ოქროს მედალი რინგზე 52 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში მოიპოვა რუსთაველმა მოსწავლემ სერგი სარქისიანმა.

— როგორ დაახასიათებდით გაღოსვლებს სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით?

— კარგი მომზადება გვიჩვენეს ძიუდოისტებმა (მეორე ადგილი საერთო გუნდურ ჩათვლაში), თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, რომლებიც აგრეთვე მეორე პრიზიორები გახდნენ.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

16 ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 3 აგვისტო. (საკდესი). დიდოსტატმა რობერტ ჰიუბნერმა (გფრ) მეოთეხსმეტე ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ეფიმ გელერთან და საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მას 10,5 ქულა აქვს. ბენტ ლარსენმა (დანია) გადადო პარტია ამერიკელ რობერტ ბირნთან. დანიელი მოჭადრაკე მეორე ადგილზეა 10 ქულით. ამდენივე ქულა აქვს მიხეილ ტალს, რომელმაც ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ულფ ანდერსონთან. დანარჩენ ორ ჩვენს ექს-ჩემპიონს — ვასილ სმისლოვსა და ტიგრან პეტროსიანს 9,5-9,5 ქულა აქვთ. მეოთეხსმეტე ტურში პეტროსიანის პარტია ალექსანდრე მატანოვიჩთან (იუგოსლავია) ყაიმით დასრულდა, ხოლო სმისლოვმა გადადო პარტია იან სმეიკალთან (ჩეხოსლოვაკია).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲠᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘ

1974 ᲬᲚᲘᲡ აგვისტოში, სოხუმიდან 30 კილომეტრზე, მდინარე დასავლეთ გუმისთის ხეობაში თავისუფლად გაუშვეს 77 მაიმუნი.

შავი ზღვის სანაპიროს სუბტროპიკულ ზონაში ამ ცდის მოწყობით სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის თანამშრომლები სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პროფესორ ბ. ა. ლაბინის მეთაურობით მიზნად ისახავდნენ ჰიპოლოდათ თავიანთი აკლიმატიზებული ცხოველები, მიეღოთ მათგან მემკვიდრეობა ჯოგური შენახვის პირობებში, სისტემატური მეთვალყურეობა გაეწიათ მათდამი ახალ ეკოლოგიურ პირობებში, აგრეთვე გამოეყენებინათ მაიმუნები ლეიკოზისა და სხვა ვირუსულ დაავადებათა დარგში კვლევისათვის საკონტროლოდ.

...პირველი ორი წელი. ამ ხნის მანძილზე ხეობაში დაიბადა და ნორმალურად ვითარდება 42 მაიმუნი. მაიმუნებმა კარგად გადაიტანეს ორი ზამთარი, როცა თოვლის საფარი მეტის აღწევდა და ტემპერატურა მინუს 8 გრადუსამდე ეცემოდა, ეს მონაცემები მოწმობს მაიმუნთა აკლიმატიზაციის შესაძლებლობებს. ექსპერიმენტი გრძელდება.

ი. ᲗᲝᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲔ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მაიმუნების სამედიცინო კონტროლი (მარცხნიდან მარჯვნივ): უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გაიანე კიულიანი, ლაბორანტი სვეტლანა შარიკოვა და მაიმუნების მომვლელი მარიამ პაროჩიდი; დასავლეთ გუმისთის ხეობაში.

ᲐᲒᲢᲠᲩᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲯᲘᲗ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

4 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

12.50 — მხატვრული ფილმი „გიყვარდეს ადამიანი“ მეორე სერია. ფერადი გამოსახულებით, 17.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ვალკას იალქნები“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, 18.45 — განცხადებები, 18.50 — კონნარკვეი, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, 19.00— „საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე“, 19.30—მდერის ინგლისის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „დოული“. ფერადი გამოსახულებით, 19.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კაპიტან ნემოს საიდუმლო კუნძული“ (პირველი და მეორე სერია), პრემიერა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — მსახიობი და როლები — „გიორგი გეგეჭკორი“.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

18.30 — მხატვრული ფილმი „მისი აღმატებულების ადიუტანტი“ (მესამე სერია).

ᲠᲐᲓᲘᲝ

5 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — მსუბუქი მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი — „საქართველოს პიონერი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05—უკრაგს მ. იაშვილი, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“. საუბარი „პარტიული ორგანიზაცია შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში“, 12.15 — ი. ბოგატიკოვის კონცერტი, 12.25 — „ცეკვის ოსტატები“, 12.37 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.47 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — კინოფილმთა მუსიკა, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ა. სპენდიაროვი. სიმფონიური პოემა „სამი პალმა“, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“, ჯ. ლორთქიფანიძე „კოლხეთის ცისკარი“ (გაგრძელება), 14.20 — ბ. ალექსანდროვი. ოპერეტა „ქორწილი მალინოვკაში“, 17.15 — ი. ტუსკია. ოპერა „სამშობლოს“ ნაწყვეტები, 17.35 — მოსწავლეთათვის. „ჯიდეკაც დაიზრდებიან...“, 18.10 — მსუბუქი მუსიკა, 18.45 — ოსური სიმღერები, 19.20 — ბ. კვეწინაძე. საფორტეპიანო პიესები, 20.20 — მუსიკალური ნოველა „ვიოლინო“, 21.00 — „ძიღისპირული“, 21.15 — საუბარი „დედა ენის“ ხალხური სწყისები“, 21.40—გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი, 23.30 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲘᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

სსრ კავშირის 38-ე ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი დღეს დილით მოსკოვიდან ესპანეთს გაფრინდა.

ჩვენი ფეხბურთელები საპორტო ქალაქ მალაგაში (მდებარეობს სამხრეთ ესპანეთში) 6-7 აგვისტოს მონაწილეობას მიიღებენ ტრადიციულ ოთხთა ბლიც-ტურნირში, რომელშიც გამოვლენ აგრეთვე ჰოლანდიისა (ამსტერდამის კლუბი) და ესპანეთის გუნდები — ვალენსიისა და მალაგის კლუბები.

შეგახსენებთ, რომ თბილისის „დინამო“ უკვე ზედიზედ მეოთხედ მონაწილეობს ესპანეთის ტურნირებში, რომლებიც, როგორც წესი, აგვისტოში იმართება. პირველად იგი გამოვიდა 1973 წელს საკურორტო ქალაქ უელვაში, საიდანაც პირველი ადგილისათვის კარგად ცნობილი ჯილდო —„კოლუმბის კარაველა“ ჩამოიტანა. მომდევნო წელს ჩვენი დინამოელები ასპარეზობდნენ კუნძულ ლას-პალმასზე (მეორე ადგილი სამ გუნდს შორის.) ხოლო შარშან — კვლავ უელვაში (ბოლო, მეოთხე ადგილი).

„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ — „ᲞᲐᲛᲘᲠᲘ“

ᲒᲣᲨᲘᲜ ქუთაისში გაიმართა „ა“ კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ „ტორპედოსა“ და დუშანბეს „პამირს“ შორის.

დიდი ანგარიშით 5:0 (2:0) გაიმარჯვეს ტორპედოელებმა. ბურთები გაიტანეს: ხერხაძემ, ჩახუნაშვილმა, შენგელიამ, ფარულავამ და ქვირიამ.

ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ!

ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ და საგარეუბნო მატარებლებით მგზავრთა გადაყვანის არსებული წესებში, საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა მრავალი თხოვნის საფუძველზე, შეტანილია დამატებები:

როგორც შორეული, ისე ადგილობრივი მიმოსვლის მატარებლების სამგზავრო ვაგონების კუპეებსა და დერეფნებში თამბაქოს მოწევა აკრძალულია. თამბაქოს მოწევა ნებადართულია მხოლოდ გამცილებლის კუპეს მოპირდაპირე მხარეს მდებარე მცირე დერეფანში.

საგარეუბნო ელექტრომატარებლების ვაგონებსა და მის ტამბურებშიც კი თამბაქოს მოწევა აკრძალულია.

ᲐᲛᲘᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲙᲘᲜᲘᲛᲖᲘᲡ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ.

რედაქტორი
Დ. ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ბარდაიცვალა მრავალი წლის განმავლობაში ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, საერთაშორისო გეოფიზიკური კომიტეტის გლაციოლოგიის ეროვნული სექციის წევრი, ხმელთაშუა ზღვა-შავი ზღვის მეოთხეული პერიოდის შემსწავლელი საერთაშორისო კომიტეტის წევრი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიასთან ვრსებულ მეოთხეული პერიოდის შემსწავლელი კომისიისა და შელფის კომისიის წევრი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲫᲔ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲐᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲐᲡᲐᲠᲘᲐᲜᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1976 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

წარმოებიდან მოწყვეტით:

1. სამთო მანქანები; 2. მართვის ავტომატიზებული სისტემები; 3. შავი ლითონების მეტალურგია; 4. ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა; 5. რკინიგზების ძიება და პროექტირება.

წარმოებიდან მოუწყვეტლად:

1. მანქანათა მექანიზმების თეორია და ავტომატური ხაზები; 2. მასალათა გაძლეკობა და სამშენებლო მექანიკა; 3. ნავთობისა და გაზის საბადოების გეოლოგია და დაზვერვა; 4. გამოყენებითი გეომეტრია და საინჟინრო გრაფიკა; 5. მანქანათმცოდნეობა და მანქანათა ნაწილები; 6. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; 7. ლითოთნმჭრელი ჩარხები და ავტომატები; 8. ლითონის ჭრით დამუშავება; 9. ავტომობილები და ტრაქტორები; 10. ელექტრომანქანები; 11. მართვისა და რეგულირების ელემენტები და ტექნიკური საშუალებები; 12. მართვის ავტომატიზირებული სისტემები; 13. გამოთვლითი ტექნიკა; 14. ჰიდრავლიკა და საინჟინრო ჰიდროლოგია; 15. ნახშირის, მადანთა და არამადნეულ საბადოთა ღია დამუშავება და ექსპლოატაცია; 16. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია; 17. საავტომობილო გზები; 18. ქალაქმშენებლობა, რაიონული დაგეგმარება, ლანდშაფტური არქიტექტურა და სასოფლო-სამეურნეო დასახლებათა გეგმარება.

განცხადება ქვემოთ აღნიშნული საბუთების დართვით (1 ეგზ) შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე: დიპლომის ასლი, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2 ფოტოსურათი, საქმიანი და საზოგადოებრივი დახასიათება სამუშაო ადგილიდან, ავტობიოგრაფია, იმონაწერი შრომის წიგნაკიდან, დაბეჭდილი შრომები ან რეფერატი და ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაცია მიმდინარე წლის კურსდამთავრებულისათვის.

შემსვლელები აბარებენ ხაკონკურსო გამოცდებს სპეციალობაში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადებები მიიღება 1976 წ. 27 სექტემბრიდან 18 ოქტომბრამდე;

მიხაღები გამოცდები 1 ნოემბრიდან.

ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲢᲘ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ

1976-77 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲒᲣᲜᲓᲝ-ᲡᲐᲦᲘᲠᲘᲥᲝᲠᲝ, ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲘᲜᲚᲘᲗᲔᲙᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲖᲔ:

სასწავლებელში მიიღებიან მხოლოდ კულტურის განყოფილების მიერ წარმოგზავნილი საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე. მსურველებმა მისაღები გამოცდები უნდა ჩააბარონ შემდეგ საგნებში:

საგუნდო და ქორეოგრაფიულ სპეციალობებზე: 1. სპეციალობა (ზეპირი); 2. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); 3. სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).

საბიბლიოთეკო განყოფილებაზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

2. სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).

სასწავლებელში ჩარიცხვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ:

ა) საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი; ბ) საშუალო სკოლადამთავრებულნი, დაჯილდოებულნი ქების სიგელით, ოქროს ან ვერცხლის მედლით; გ) საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში დადგენილი წესისამებრ სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებიდან, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ წარგზავნილი პირები; დ) ის პირნი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი ირანაკლებ ორი წლისა და მუშაობენ არჩეული სპეციალობის მიხედვით.

სასწავლებელში შესვლის მსურველებმა უნდა შეიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე და წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. იმონაწერი შრომის წიგნაკიდან დამოწმებული წარმრობის ან დაწესებულების მიერ, 3. ავტობიოგრაფია, 4. დაბადების მოწმობა (ასლი), 5. სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა (წარმოადგენს პირადად), 6. ოთხი ცალი ფოტოსურათი (დადაღებული უქუდოდ, 3X4 სმ), 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 8. ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 286).

განცხადებები მიიღება 10 აგვისტომდე, გამოცდები დაიწყება 12 აგვისტოდან. სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს. სწავლის ხანგრძლივობა საგუნდო და ქორეოგრაფიულ განყოფილებებზე — 2 წელი და 4 თვე, ხოლო საბიბლიოთეკო განყოფილებაზე — 2 წელი.

სასწავლებელში მიღებულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით. დაწესებულებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში.

ქუთაისი, ტელმანის ქუჩა № 19, ტელეფონი 5-24-03.

ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲜᲡᲝ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1976-1977 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

(მეორე კურსზე, საშუალო განათლების ბაზაზე)

1. **სახელმწიფო ბიუჯეტი** — (სპეციალიზაცია — ბიუჯეტის შედგენა-შესრულება და სახელმწიფო შემოსავალი) ამზადებს ფინანსისტებს საფინანსო ორგანოების, საბიუჯეტო დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის.

2. **საბიუჯეტო აღრიცხვა** — (მათ შორის რუსული ჯგუფი) ამზადებს ბუღალტერ-ფინანსისტებს საფინანსო ორგანოებს, საბიუჯეტო დაწესებულებებისა და სასოფლო (სადაბო) საბჭოების ცენტრალიზებული ბუღალტერიისათვის.

3. **სახელმწიფო დაზღვევა** — ამზადებს ფინანსისტებს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებისათვის.

4. **აღრიცხვა და ოპერატიული ტექნიკა სახელმწიფო ბანკში** — (სპეციალიზაცია-აღრიცხვა სახელმწიფო ბანკში და აღრიცხვა შემნახველ სალაროში) — ამზადებს ბუღალტრებს სახელმწიფო ბანკის განყოფილებებისათვის, ბუღალტრებს და კონტროლიორებს შემნახველი სალაროებისათვის.

5. **საბუღალტრო აღრიცხვა**— ამზადებს ბუღალტრებს მრეწველობის ცალკეული დარგებისათვის (მანქანათმშენებლობის, კვების, მსუბუქი მრეწველობის და სხვ.).

დაუსწრებელი განყოფილება (მესამე კურსზე, საშუალო განათლების ბაზაზე, ქართული და რუსული სექტორი).

1. **სახელმწიფო ბიუჯეტი** (სპეციალიზაცია—ბიუჯეტის შედგენა-შესრულება და სახელმწიფო შემოსავალი),

2. **საბიუჯეტო აღრიცხვა,**

3. **სახელმწიფო დაზღვევა,**

4. **აღრიცხვა და ოპერატიული ტექნიკა სახელმწიფო ბანკში** (სპეციალიზაცია-აღრიცხვა სახელმწიფო ბანკში და აღრიცხვა შემნახველ სალაროში),

5. **საბუღალტრო აღრიცხვა.**

ტექნიკუმში მიიღებიან მოქალაქენი დღის განყოფილებაზე 30 წლის ასაკამდე, ხოლო დაუსწრებელ განყოფილებაზე — ასაკის განუსაზღვრელად.

ტექნიკუმში ჩაირიცხებიან: საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს ორივე განყოფილების შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა — თხზულება), 2. მათემატიკაში (ზეპირი), ხოლო რუ-ულ სექტორზე შემსვლელნი: რუ-ულ ენასა და ლიტერატურაში (წერა — თხზულება), 2. მათემატიკაში (ზეპირი).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: ა) საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი — ოქროს ან ვერცხლის მედლით დაჯილდოებულნი, საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომელსაც მიღებული აქვთ წარჩინების დიპლომი; ბ) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დათხ